

ავტისტური სპექტრის აშლილობების დიაგნოზის გავლენა დიაგნოზის  
მქონე ბავშვების და-ძმებზე: ფსიქიკური ჯანმრთელობის პერსპექტივა

მარია ვართანიან

მარიამ შავლიაშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

*როგორც წარდგენილი აკადემიური ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ქვემოთ მოყვანილი ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, დასაცავად წარდგენილ ან გამოსაქვეყნებლად მიღებულ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

მარიამ შავლიაშვილი

მარია ვართანიან

22.06.2018

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს აუტისტური სპექტრის აშლილობების (ასა) მქონე ბავშვების სიბლინგების აღდგენისუნარიანობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების კვლევას.

საკითხის ირგვლივ სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების შედეგად ვლინდება არაერთგვაროვანი მიგნებები სიბლინგებზე ასა-ს გავლენასთან დაკავშირებით. საქართველოში ასა-ს მქონე ბავშვების სიბლინგების კვლევა ამ დრომდე არ ჩატარებულა. ამრიგად, მნიშვნელოვანია ამ საკითხის შესწავლა. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება სიბლინგებისთვის რეკომენდაციების გაცემის თვალსაზრისით.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა ბავშვებისა და ახალგაზრდების აღდგენისუნარიანობისა (CYRM – Child and Youth Resilience Measure) და ბავშვთა და მოზარდთა სირთულეებისა და ძლიერი მხარეების საკვლევო კითხვარი (Strengths and Difficulties Questionnaire).

კვლევა ჩატარდა თბილისში, *მენტალური ჯანმრთელობის ცენტრში*, ამავე ორგანიზაციის ბენეფიციარების 6-დან 23 წლამდე ასაკის სიბლინგებთან, შერეული - რაოდენობრივი (აღდგენისუნარიანობისა და ძლიერი და სუსტი მხარეების კითხვარების) და თვისებრივი (ფოკუს-ჯგუფის მეთოდი) მიდგომის გამოყენებით.

კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ სიბლინგებთან ზომიერად არის გამოხატული ექსტერნალიზებული (ქცევითი და ჰიპერაქტივობის) და ინტერნალიზებული (ემოციური და თანატოლებთან ურთიერთობის) პრობლემები. აღდგენისუნარიანობა არ გამოირიცხავს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების

არსებობას. სხვადასხვა ასაკში სიბლინგები ალდგენისუნარიანობის სხვადასხვა სტრატეგიას იყენებენ.

მაღალფუნქციური აუტიზმის მქონე ბავშვების 18-დან 23 წლამდე ასაკის სიბლინგებში გამოიკვეთა ალდგენისუნარიანობის შემდეგი სტრატეგიები: სერვისის, როგორც რესურსის გამოყენება; ბავშვის მდგომარეობის დადებითი დინამიკის აღქმა; ბავშვთან ურთიერთობის, როგორც სწავლის შანსის განხილვა.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** აუტიზმი, ასა, სიბლინგი, ალდგენისუნარიანობა, შეგუება, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ექსტერნალიზებული ქცევითი პრობლემები, ინტერნალიზებული ქცევითი პრობლემები.

## Abstract

The present work aims to study the resilience and mental health problems of siblings of children with autistic spectrum disorders (ASD).

As a result of studies conducted in different countries around the issue, there are a number of different perspectives about the impact of ASD on the sibling. In Georgia the study concerning siblings of children with ASD has not been conducted yet. Therefore, it is important investigate this issue. The results of the research will be important in terms of working out recommendations.

The Child and Youth Resilience Measure (CYRM) and Strengths and Difficulties Questionnaire (SDQ) for children and adolescents were used in this study in order to measure the resilience and mental health problems of siblings of children with ASD.

The survey was carried out in Tbilisi, *Mental Health Center*. The participants were 6 to 23 years old siblings of the beneficiaries of this organization. The data was collected via mixed – quantitative (Resilience and Strengths and Difficulties questionnaire) and qualitative (focus-group method) research methods.

According to the findings of this study, Internalising (includes emotional and peer relationship domains) and Externalising (includes behavior and hyperactivity domains) problems are moderately present among siblings of children with ASD. High resilience does not exclude the presence of mental health problems. Different resilience strategies are used in different age categories.

Among siblings aged 18 to 23 who have brother or sister with high-functional autism several resilience strategies were highlighted, such as following: using the therapeutic service as

a resource, appreciation of the positive dynamics of a child's development, perceiving the relationship with the child as a chance to learn things, perceiving the child's strengths in various fields.

**Key words:** Autism, ASD, Siblings, Resilience, Adjustment, Mental Health Problems, Externalising Behavior Problems, Internalising Behavior Problems.

## მადლობა

გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის, დროული უკუკავშირისა და რეკომენდაციებისთვის დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს ხელმძღვანელს, ქალბატონ დარეჯან ჯავახიშვილს. ასევე მადლობას ვუხდით ბატონ ვანო კეჭაყმაძეს მონაცემების დამუშავებისას გაწეული დახმარებისათვის.

ასევე, მადლობას ვუხდით *მენტალური ჯანმრთელობის ცენტრის* ბენეფიციარების მშობლებსა და სიბლინგებს კვლევაში მონაწილეობისთვის. განსაკუთრებული მადლობა *მენტალური ჯანმრთელობის ცენტრის* ადმინისტრაციას კვლევის ჩატარებისა და მონაცემების დამუშავებისათვის საჭირო სივრცის გამოყოფისათვის.

მადლობას ვუხდით ნაშრომის თანაავტორებს, მარიამ შავლიაშვილსა და მარია ვართანიანს გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობისთვის.